საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/130

ქ. ბათუმი 08 დეკემბერი, 2021 წ.

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფ. ვლადიმერ ღლონტის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 21 0001078386, 12.10.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
2. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიცეს ბსუ-ს რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის N75 დადგენილება.
4. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარი, ,,სტუდენტთა გზამკვლევი“), ასევე სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტებს და პერსონალს.
5. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის ინგლისურენოვან გვერდზე.

6. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 დეკემბრის
N06-01/130 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I .ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) საბაკალავრო/სამაგისტრო/ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესს.

1.2. წინამდებარე წესით რეგულირდება ასევე ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტის შესრულების პროცესი, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით.

1.3. სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმატით წარმართვის წესი, ასევე სასწავლო პრაქტიკის (სასწავლო კომპონენტის) შესრულების რეგულაცია, განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხვა დადგენილებით ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

1.4. წინამდებარე წესი და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტები (ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, სწავლის საფასურის გადახდის წესი, სხვა წესები, დებულებები), ასევე ამ რეგულაციებთან დაკავშირებული განმარტებები (თემატურად) განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ველში - ,,სტუდენტთა გზამკვლევი“ (*bsu.edu.ge*, ველში - ,,სწავლა“).

მუხლი 2. სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

სასწავლო პროცესში და წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **უმაღლესი განათლება** – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6–მე-8 დონეების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და დასტურდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით. **აკადემიური უმაღლესი განათლება** არის უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

2.2. **ბსუ-ს სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების, მედიცინის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს ბსუ-ში **ან/და ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში. ბსუ-ს**

სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ან მობილობის საფუძველზე;

2.3. **ხელშეკრულება -** უნივერსიტეტს და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, გამომდინარეობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონიდან, ბსუ-ს წესდებიდან, წინამდებარე წესიდან ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებიდან;

2.4. **სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

2.5. **აკადემიური რეგისტრაცია** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდეგში - ელ.სისტემა") სასწავლო კურსების (სასწავლო კომპონენტის) დარეგისტრირება, წინამდებარე წესისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური კალენდარის/ვადების შესაბამისად;

2.6. **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდა, ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

2.7. **ბაკალავრიატი –** აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. **ბაკალავრი არის** მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

2.8. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

2.9. **მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** – შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს შესაბამისი საგნების/საგნობრივი ჯგუფების მოდულს, მასწავლებლის მომზადების მოდულს, თავისუფალი კომპონენტების მოდულს, სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

2.10. **მაგისტრანტობის კანდიდატი** – ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის ან განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის მაგისტრატურაში გაგრძელებას. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2.11. **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური. **მაგისტრანტი** არის სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში. **მაგისტრი** არის მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

2.12. **განათლების მაგისტრი** – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. განათლების მაგისტრის აკადემიურმა ხარისხმა შეიძლება პირს მიანიჭოს მასწავლებლობის უფლება;

2.13. **დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს მედიკოსის/სტომატოლოგის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის;

2.14. **დოქტორანტურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური. **დოქტორანტი** არის სტუდენტი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2.15. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.16. **სასწავლო კურსის** პროგრამა **(სილაბუსი)** – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

2.17. **ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა** – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა;

2.18. **მოდული** – სწავლების თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა;

2.19. **კონცენტრაცია -** უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით;

2.20. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

2.21. **სწავლის შედეგები** – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, კონცენტრაციის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;

2.22. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უნივერსიტეტი;

2.23. **კვალიფიკაცია** – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება ბსუ-ს მიერ გაცემული დიპლომით;

2.24. **დიპლომი** – ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი (გაიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე);

2.25. **დიპლომის დანართი** – გაიცემა დიპლომთან ერთად, სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

2.26. **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო მობილობა)** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.27. **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი** – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.28. **მობილობა** – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

2.29. **შიდა მობილობა** - ბსუ-ს სტუდენტთა თავისუფალი გადასვლა ბსუ-ს ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანთლებლო პროგრამაზე;

2.30. **განათლების აღიარება** - საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან ამავე დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (კრედიტების) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარება;

2.31. **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;

2.32. **პლაგიატი** - აკადემიური არაკეთილსინდისიერება. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის **N01-01/71** დადგენილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“** განისაზღვრება ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები;

2.33. **ანტიპლაგის პროგრამა** - Moodle ელექტრონული სწავლების პლატფორმასთან ინტეგრირებული, ნაშრომის ორიგინალობის შეფასების/სხვა ნაშრომთან მსგავსების გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა (შემდეგში - ტურნიტინი/Turnitin). აღნიშნული პროგრამის მართვა/ოპერირება ხორციელდება **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული** „ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად;

2.34. **დისტანციური (ელექტრონული) სწავლება** – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. **ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული (დისტანციური) სწავლების ადმინისტრირება** ხორციელდება ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით, რისთვისაც შექმნილია **მოდული** - „ელექტრონული სწავლება“;

2.35. **სტუდენტური პორტალი** - **portal.bsu.edu.ge** (შემდეგში - „პორტალი“), რომელშიც ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში - „ელექტრონული ჟურნალი“/„ელ. ჟურნალი“);

2.36. **აკრედიტაცია** – აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის (რეგულირებადი, ქართულ ენაში მომზადების და დოქტორანტურის პროგრამების) განხორციელება;

2.37. **სამინისტრო** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მინისტრი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

2.38. **ცენტრი** - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

2.39. **სისტემა** - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

მუხლი 3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

3.1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება **სტუდენტური პორტალის,** ხოლო ნაშრომის ორიგინალობის შეფასება - **Turnitin** (ანტიპლაგი) ელექტრონული სისტემების მეშვეობით.

3.2. **სტუდენტური პორტალზე (portal.bsu.edu.ge)** ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში - ,,ელექტრონული ჟურნალი"/,,ელ. ჟურნალი"). პორტალით სარგებლობისათვის ბსუ-ს დასაქმებულს/**სტუდენტს** (შემდეგში ,,მომხმარებელი") გადაეცემა შესაბამისი ფუნქციის და როლის მქონე სააღრიცხვო ჩანაწერი (account), რომლითაც ახორციელებს პორტალის მოდულებში ოპერირებას (სხვადასხვა ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და ა.შ.).

3.3. სტუდენტური პორტალის ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის" შესაბამისად, ასევე საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფუნქციების/სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

3.4. პორტალზე/სისტემაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მომხმარებელი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი/სტუდენტი) ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს აღნიშნულის შესახებ წერილობითი ინფორმაცია (სტუდენტმა - სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge მეშვეობით, ხოლო დასაქმებულმა - ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).

3.5. სასწავლო პროცესის მართვისა და ნაშრომის ორიგინალობის შეფასების სისტემების ძირითადი ადმინისტრატორია ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ხოლო ადმინისტრირებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი II. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და მობილობა

მუხლი 4. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე

4.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება **ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე** ბსუ-ს საბაკალავრო, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში - **პირველ საფეხურზე)** აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე აბიტურიენტს.

4.2. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ აბიტურიენტთა სიაში აღნიშნულმა, ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირმა ბსუ-ში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით.

4.3. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის რეგისტრაციის, სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადები.

4.4. ბსუ-ში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლის და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

4.5. ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება

ბსუ-სთან, გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები.

4.6. ბსუ-ში რეგისტრაციის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ, რომლითაც იგი მოიპოვებს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსს.

4.7. აბიტურიენტის რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია უცხო ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით, დააწესოს ტესტირება/გასაუბრება.

მუხლი 5. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე მაგისტრატურაში

5.1. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე (მაგისტრატურაში/აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე) ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების, წინამდებარე წესის ან/და **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ან რექტორის** მიერ დადგენილი მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად.

5.2. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა; ბ) ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები (სპეციალობაში და უცხო ენაში).

5.3. საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში.

5.4. მაგისტრანტობის კანდიდატი ბსუ-ს მიერ გასაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.

5.5. ბსუ-ს მის განსაზღვრულ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ გამოცდას/გამოცდებს ენიჭება კოეფიციენტები უცხო ენის გამოცდის დონე განისაზღვრება შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით.

5.6. ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის, გამოცდების ჩატარების წესი, ადგილი და ვადები, გამოცდების შედეგების გამოქვეყნების, მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის აქტის გამოცემის ვადები.

5.7. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის ბრძანება და ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგები ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5.8. მაგისტრანტობის კანდიდატი უფლებამოსილია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი, რომელსაც განიხილავს შესაბამისი საპრეტენზიო საბჭო.

5.9. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

5.10. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

5.11. სამაგისტრო გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი იქმნება შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის (ადგილების რაონდეობის), მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ მიღებული ქულებისა და ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტების მაჩვენებლების გათვალისწინებით.

5.12. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და ბსუ-ს გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ბსუ-ში ჩარიცხვა ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სამაგისტრო გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

5.13. მაგისტრანტობის კანდიდატთა ბსუ-ში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე **იმ პირობით,** რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

5.14. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება ბსუ-სთან, გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები).

5.15. მაგისტრანტობის კანდიდატსა და ბსუ-ს შორის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე მზადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები: მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. რექტორის ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ შესაბამისი პირი მოიპოვებს ბსუ-ს სტუდენტის - მაგისტრანტის სტატუსს.

მუხლი 6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

6.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 60 კრედიტს.

6.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო როგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის მისანიჭებელი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა (2250 ლარი) განისაზღვრება ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის ბსუ-ს) პროგრამებზე ჩარიცხულ პირთაგან დაფინანსების მიმღებ პირთა საერთო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის სწავლა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური არ აღემატება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას - 2250 ლარს.

6.3. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მიზნით პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ყოველწლიურად მტკიცდება: ა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით - პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი; ბ) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით - პროგრამის ანკეტა-კითხვარი.

6.4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადა, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, გამოცდების, პრეტენზიების განხილვის, საბოლოო შედეგების გამოქვეყნების, ხელშეკრულების გაფორმებისა და პროგრამაზე ჩარიცხვის ვადები. ბსუ-ს რექტორის ბრძანება, ასევე ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის შინაარსი, ჩატარების ფორმა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშრებული პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ქვეყნდება ბსუ-ს იფიციალურ ვებგვერდზე.

6.5. აპლიკანტი შეიძლება იყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებელი ან ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მიღებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება (ამ შემთხვევაში აუცილებელია სრული ზოგადი განათლების ქონა), წარმატებით აქვს ჩაბარებული იმ საგნის გამოცდა/დადასტურებული აქვს კომპეტენცია იმ საგანში, რომლის შესაბამისი აკადემიური ხარისხიც/განათლებაც აქვს.

6.6. ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანომდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ იქმნება რანჟირების დოკუმენტი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

6.7. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, უნივერსიტეტის შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

6.8. აპლიკანტის ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ამ აპლიკანტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (დოკუმენტაციის წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

6.9. რანჟირების დოკუმენტის მიხედვით ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან (აპლიკანტებთან) ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ განისაზღვრება ის აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ მოდულზე სწავლის უფლება სახელმწიფო დაფინანსებით და გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება აღნიშნული პროგრამაზე აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ.

6.10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია: პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6.11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი (ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად).

6.12. მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის და ამ პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის შესაბამისად ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულაცია განისაზღვრება **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.**

მუხლი 7. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვა და სასწავლო პროცესი

7.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი მოიპოვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 12 ივლისის N01-08/85 ბრძანებისა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

7.2. სამინისტროს ბრძანების შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი უფლებამოსილია სამინისტროს ბრძანების გამოცემიდან 1 წლის განმავლობაში ჩაირიცხოს და დაიწყოს სწავლა ბსუ-ში ისე, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა. როგორც წესი, ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება უნდა გამოიცეს შესაბამისი სასწავლო წლის (სემესტრის) დაწყებამდე. სამინისტროს ბრძანების, ბსუ-ში ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირის განცხადების და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლებელია ამ პირთან გაფორმდეს ხელშეკრულება და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება გამოიცეს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-7 კვირისა.

7.3. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია სამინისტროს ბრძანების გაცნობის შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისიდან მიღებული ინფორმაციის/კონსულტაციის (აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სასწავლო კურსების და სხვა) საფუძველზე წარმოადგინოს განცხადება ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ, რომელშიც უნდა მიუთითოს კონკრეტული სასწავლო წელი (სემესტრი), საიდანაც შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

7.4. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება:

ა) ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის განცხადება;

ბ) პირადი საქმის წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობა/პასპორტი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ასლები და სხვა, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

გ) სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი (,,ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია უნდა დადასტურდეს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ).

7.5. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან,

წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულების გაფორმების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

7.6. ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა და სასწავლო პროცესი (აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და სხვა) წარიმართება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, წინამდებარე წესით, ბსუ-ში ჩარიცხვით დაინტერესებულ პირთა მოზიდვის შესახებ გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის პირობების, უცხოენოვანი საგანმანთლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის წესისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

8.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა).

8.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში (სტუდენტის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა, ფორსმაჟორული გარემოება, პანდემია, ტექნიკური ან/და სხვა ობიექტური გარემოება), როდესაც დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, შეიძლება დაიშვას გამონაკლისი და სტუდენტს შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. სტუდენტი, რომელიც დამატებითი სემესტრის/წლის ფარგლებში სწავლობს ბსუ-ში, ვერ სარგებლობს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

8.3. სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს არანაკლებ 1 და არაუმეტეს ხუთი წლის ვადით. პირადი განცხადების საფუძველზე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი სემესტრის (გაზაფხულის ან შემოდგომის, რომელშიც შეუჩერდა) დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა. სტუდენტის დასაბუთებული განცხადებისა და დეკანის წარდგინების საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 21 დღისა.

8.4. ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნება შესაძლებელია შიდა მობილობაში მონაწილეობის შედეგად:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსშეჩერებული იმ სტუდენტისა, რომელსაც სურს განსხვავებულ სემესტრში (და არა იმ სემესტრში, რომელშიც შეუჩერდა სტატუსი) დაბრუნება;

ბ) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტის.

8.5. პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსშეჩერებული სტუდენტის შიდა მობილობის გარეშე სასწავლო პროცესში დაბრუნების შემთხვევაში სასწავლო სემესტრი განისაზღვრება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში დაბრუნებამდე ათვისებული სასწავლო კურსების მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის (კრედიტების აღიარების) დასკვნის საფუძველზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

8.6. აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა სწავლის საფასურის გადახდის წესის, აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესაბამისად, სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერება (ან აკადემიური რეგისტრაციის შედეგის გაუქმება) გამორიცხავს სტუდენტისათვის შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (დარიცხული სწავლის საფასური უნდა დაკორექტირდეს/მოეხსნას).

8.7. ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების ან სტუდენტის სტატუსის შეჩერების წინამდებარე მუხლით დადგენილი წესისაგან გამონაკლისი შესაძლოა დაიშვას სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

8.8. მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გაუქმების/ვადის გასვლის შემთხვევაში ამ პროგრამის სტუდენტს უჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და იგი უფლებამოსილია სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში ისარგებლოს მობილობის (შიდა მობილობაში) მონაწილეობის უფლებით და ამის შედეგად სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

9.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო კურსში სამჯერ „ჩაჭრა“ - F შეფასების მიღება;

ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ზ) გარდაცვალება.

9.2. თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ოპტიმალურ ვადაში (საბაკალავრო პროგრამაზე - 8 სემესტრი; ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე - 10 სემესტრი; ,,სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 10 სემესტრი; ,,მედიცინის“/,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 12 სემესტრი; სამაგისტრო პროგრამაზე - 4 სემესტრი), მის მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იწყება ადმინისტრაციული წარმოება. სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი, უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუკი დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 და ნაკლები კრედიტი, ადმინისტრაციული წარმოების ვადის ამოწურვამდე მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე შეიძლება გაუხანგრძლივდეს სწავლის ვადა ერთი სასწავლო წლის/სემესტრის ვადით (გამონაკლისი/სხვა ვადა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით).

9.3. პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში (აკრედიტაციის გაუქმება/ვადის გასვლა - მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განხორციელებადი პროგრამების შემთხვევაში ან პროგრამის გაუქმება სხვა საფუძვლით) უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს სწავლა გააგრძელოს ბსუ-ს სხვა, ალტერნატიულ პროგრამაზე, ამ სტუდენტის მიერ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

9.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

9.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მობილობა

10.1. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება, გარდა ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლებისა, შესაძლებელია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ში გადმოსვლის შედეგად (მობილობა), რაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

10.2. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია ბსუ-ში ერთი საგანმანთლებლო პროგრამიდან გადავიდეს სხვა საგანმანთლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა). აღნიშნული უფლებით ბსუ-ს სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბსუ-ში სწავლის პირველი სემესტრის შემდეგ.

10.3. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის (მათ შორის შიდა მობილობის) უფლებით.

10.4. მობილობის (მათ შორის შიდა მობილობის) ვადები და განხორციელების წესი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. საერთაშორისო მობილობა

11.1. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში (საერთაშორისო მობილობა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული *„საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების* წესისა“ და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

11.2. სტუდენტი ვალდებულია ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შეუთანხმოს (ადასტურებს ხელმოწერით) სტუდენტსა და მიმღებ უნივერსიტეტს შორის გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულება (ე.წ. „Learning Agreement”).

11.3. საერთაშორისო მობილობის სემესტრის დაწყებამდე ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს და წარუდგენს სასწავლო ხელშეკრულებას, მიმღები უნივერსიტეტის თანხმობის/მოწვევის წერილს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე.

11.4. საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პერიოდში ბსუ-ს სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი. ამ პერიოდში სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთაშორისო მობილობის პერიოდში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მიმღები უნივერსიტეტის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ბსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

11.5. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის დაბრუნება ბსუ-ს სასწავლო პროცესში ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე წესით, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის“ (2019 წლის N06-01/89 დადგენილება) და „უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების წესით“ (2017 წლის N55 დადგენილება) გათვალისწინებული პროცედურების შესრულების შემდეგ.

11.6. საერთაშორისო მობილობის პერიოდის აკადემიური რეგისტრაციის (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების რეგისტრაციის) შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში აისახება სტუდენტის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ, სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) აღიარებისა და ბსუ-ში სწავლის სემესტრის განსაზღვრის შესახებ ბსუ- ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

თავი III. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების წესი

მუხლი 12. სასწავლო წელი

12.1. ბსუ-ში სასწავლო წლისა და სემესტრების დაწყების, დასრულების, სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

12.2. სასწავლო წელი ორსემესტრიანია. თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კვირას, საიდანაც:

ა) 15 კვირა ეთმობა სტუდენტთან საკონტაქტო სამუშაოს (სალექციო/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული/სემინარი ან/და ლაბორატორიული მეცადინეობა, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა), მათ შორის ერთი კვირა- შუალედურ გამოცდებს;

ბ) 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიას;

გ) 1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიას.

12.3. სასწავლო პროცესის საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება

13.1. ბსუ-ში სასწავლო პროცესი ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, დასწრებული სწავლების ფორმით. სასწავლო პროცესი შესაძლებელია წარიმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც მზადდება შესაბამისი გარემოებების, სტუდენტის/უნივერსიტეტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

13.2. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიღებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია სწავლა-სწავლების პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება.

13.3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).

13.4. სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება. მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის არასრული დატვირთვით განხორციელების შემთხვევაში ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს.

13.5. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

13.6. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა კონცენტრაცია, მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.).

13.7. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა მოიცავს:

ა) ლექციას, ჯგუფში მუშაობას, სემინარს, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ და სხვა მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) ნაშრომზე მუშაობას, დაცვას და/ან გამოქვეყნებას;

ვ) ბსუ-ს კლინიკაში ან ლაბორატორიაში მუშაობას;

ზ) შემოქმედებით პროექტზე მუშაობას

13.8. სასწავლო კურსი (საგანი) ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში. ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის) სტუდენტი უფლებამოსილია სწავლების მეხუთე სემესტრიდან აირჩიოს დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი (სასწავლო კურსები). სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი პროგრამის შეცვლა ან გაუქმება (თავისუფალი კომპონენტით ჩანაცვლება) დასაშვებია სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

13.9. ბსუ-ს სტუდენტი აკადემიური რეგისტრაციის ვადებში უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს სხვა არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით არჩევითი სასწავლო კურსი/მოდული, რომელიც დაარეგისტრირა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა;

ბ) განმეორებით გაიაროს სასწავლო კურსი, შეფასების გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი.

13.10.სტუდენტი ვალდებულია აკადემიური რეგისტრაციის დროს შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა (სასწავლო/კვლევითი კომპონენტის წინაპირობა). აკადემიური დავალიანების მქონე მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პარალელურად დაარეგისტრიროს სასწავლო კომპონენტი, გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის წინადაცვა (აპრობაცია). მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემდეგ.

13.11.დასაშვებია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მესამე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის პროგრამით დაგეგმილი საველე პრაქტიკის გავლის (სასწავლო კომპონენტის - 5 კრედიტის შესრულების) ვალდებულების ერთჯერადად გადავადება, ერთი სასწავლო წლის ვადით (მომდევნო სასწავლო წლის სტუდენტებთან ერთად გავლის პირობით). ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ ბოლო სასწავლო წელს ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 75 კრედიტს. გადავადების შესახებ სტუდენტის განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

მუხლი 14. სტუდენტის შეფასების წესი

14.1. სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ცალკეულ კომპონენტში მიღებული შეფასებით. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს **შუალედური შეფასებისა** და დასკვნითი შეფასების ჯამს.

14.2. სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.

14.3. შუალედური შეფასება მოიცავს:

ა) შუალედური გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა;

ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერითი გამოკითხვები (ტესტი, რეზიუმე, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა).

14.4. დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა, პროექტი ან სხვა სახის შეფასება.

14.5. პროგრამის ცალკეული კომპონენტის სილაბუსში მკაფიოდ აღიწერება შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, რეკომენდებულია:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებაში, შუალედურ და დასკვნით გამოცდაში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით;

14.6. შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - წერითი ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერითი ნაწილის ხვედრითი წილი შეადგენს საერთო შეფასების არანაკლებ 50%-ს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ზეპირი ან ტესტური ფორმით ჩატარება. რეკომენდებულია, დასკვნითი გამოცდის საკითხები მოიცავდეს: თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ტესტებს და სხვა ტიპის დავალებებს, სილაბუსში აღწერილი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკის მიხედვით.

14.7. პრაქტიკის, პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასთან თავსებად კომპონენტებს, რაც დეტალურად აღწერილია შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში.

14.8. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

14.9. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა.

14.10.სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას, სასწავლო პროცესის (მათ შორის ელექტრონულად) წარმართვის შესახებ სამართლებრივ აქტებს ან/და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;

14.11.შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში (უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა, იზოლაცია/ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის პანდემიის გამო, შვილის შეძენა, ოჯახის წევრის გარდაცვალება) დასაშვებია შესაბამისი გამოცდის აღდგენა, მისი ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, სტუდენტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

გამოცდაზე დაშვების ბრძანება გამოიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ, განცხადების შემოსვლიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

14.12. დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან შესაბამის დამატებით გამოცდამდე შუალედი არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები.

14.13.სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (შეფასების უწყისში).

14.14.საგნის ლექტორი სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრებს ასწორებს და ასახავს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდეგში - სისტემა) შემდეგ ვადებში:

ა) 1-25 სტუდენტის შემთხვევაში – 2 დღე;

ბ) 26 – 50 სტუდენტის შემთხვევაში – 3 დღე;

გ) 51-70 სტუდენტის შემთხვევაში – 4 დღე;

დ) 71-120 სტუდენტის შემთხვევაში – 5 დღე;

ე) 121 და მეტი - 7 დღე.

14.15.თუ სტუდენტი არ ეთანხმება შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგს, მიღებული შეფასების ელ.სისტემაში ასახვიდან არაუგვიანეს 3 დღისა, წერილობითი განცხადებით (აპელაცია) მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადება რეაგირებისთვის გადაეცემა საგნის ლექტორს (სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს) არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. დეკანი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის ნაშრომის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

14.16.აპელაციის განხილვის შედეგად ლექტორი/კომისია უფლებამოსილია აამაღლოს ან ძალაში დატოვოს სტუდენტის შეფასება. შეფასების ამაღლების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით, სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (პორტალზე) საგამოცდო შეფასების ცვლილების შესახებ.

14.17.პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იყოფა კატეგორიებად:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

14.18.ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე სასწავლო კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე - 0; 51-დან 61-მდე -1.55; 61-დან 71-მდე -2.16; 71-დან - 81-მდე - 2.77; 81-დან 91-მდე - 3.38; 91-ზე მეტი -4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. GPA=(ΣGP · CR)/(Σ CR), სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

14.19.საშუალო მაჩვენებელში (GPA) სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გათვალისწინების მიზნით სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში მიღებულ შეფასებას ენიჭება შესაბამისი კოეფიციენტი (ფრიადი (summa cum laude) – 4; ძალიან კარგი (magna cum laude) – 3.38; კარგი (cum laude) – 2.77; საშუალო (bene) – 2.16; დამაკმაყოფილებელი (rite) – 1.55; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – 0; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 0).

მუხლი 15. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების პროცედურა

15.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით შეიძლება ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

15.2. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. ნაშრომის დასახელების (თემის) შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, სტუდენტის ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს, ფაკულტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით, ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სტუდენტის სწავლების მეშვიდე სემესტრში.

15.3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი, ასევე მოწვეული მასწავლებელი (არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

15.4. სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს სილაბუსით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, ელექტრონულად (PDF ფორმატი). ნაშრომის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 25 გვერდზე ნაკლებს და გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფორმატზე;

ბ) შრიფტის სახე –Sylfaen;

გ) შრიფტის ზომა – 12;

დ) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ - 2 სმ;

15.5. სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს შემდეგი სტრუქტურით

ა) თავფურცელი – წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის სრული დასახელება („საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“). უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 სმ-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით - შესაბამისი ფაკულტეტის დასახელება; პროგრამის დასახელება და სტუდენტის სახელი, გვარი; ნაშრომის დასახელება; შემდეგ ხაზზე - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (მაგ. ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება ნაშრომის (თემის) ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა და აკადემიური ხარისხი, სახელი და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი (მაგ. ბათუმი) და ნაშრომის წარდგენის წელი;

ბ) სტუდენტის (ნაშრომის ავტორის) განაცხადი წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. განაცხადი უნდა განთავსდეს ცალკე ფურცელზე (სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება):

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გ) ანოტაცია - წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გ) სარჩევი – უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ცელკეული თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, საწყისი გვერდის ნომრის მითითებით;

დ) შესავალი – უნდა გადმოიცეს საკვლევი თემის აქტუალურობა, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევის მეთოდები;

ე) ძირითადი ტექსტი – ასახავს ნაშრომის შინაარსს, წარმოდგენილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად;

ვ) დასკვნა – უნდა აისახოს ნაშრომის შედეგები და პრაქტიკული ღირებულება;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით, ტექსტში დაცული უნდა იქნეს ციტირების წესი;

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში)

15.6. სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-13 კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება ხორციელდება არაუგვიანეს მე-14 კვირისა.

15.7. საბაკალავრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი განმეორებით ატვირთოს არა უგვიანეს მე-15 კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი მსგავსების ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება ,,0“ ქულით (F – ჩაიჭრა).

15.8. სტუდენტის ხელმძღვანელი, პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად, ამზადებს დასკვნას (მსგავსების ხარისხის მითითებით) არაუგვიანეს მე-16 კვირისა და წარუდგენს დარგობრივ დეპარტამენტს, რის შედეგად განისაზღვრება ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი), საბაკალავრო ნაშრომის შესაბამის დარგში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რეცენზენტი არ შეიძლება იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი.

15.9. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხორციელდება მე-18 კვირაში, შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

ა) საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი);

ბ) რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა;

გ) საჯარო დაცვაზე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია - მაქსიმუმ 40 ქულა.

15.10. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა ტარდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე, შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით კომისიის წინაშე. დაცვის მსვლელობისას კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, ხელმძღვანელს და რეცენზენტს. ნაშრომის წარმოდგენისთვის სტუდენტს ეძლევა 15-20 წუთი.

15.11. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლა სავალდებულოა. საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) თემის აკადემიური დონე - 15 ქულა;

ბ) დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა - 15 ქულა;

გ) პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა.

15.12. კომისიის თითოეული წევრი სილაბუსით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. სტუდენტის საბოლოო შეფასება ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ აისახება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები

16.1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა **30 კრედიტი** და იგი წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი ინოვაციური კვლევის შედეგს, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის შესწავლას, ექსპერიმენტის ჩატარებას/კვლევის წარმოებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, დასკვნების გაკეთებას და შედეგების წარმოდგენას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით.

16.2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, სტუდენტის ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სტუდენტის სწავლების მესამე სემესტრში.

16.3. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს სილაბუსით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, როგორც ბეჭდური და ყდაში ჩასმული სახით, ასევე ელექტრონულად. ნაშრომის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 50 გვერდზე ნაკლებს, ხოლო გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფორმატზე;

ბ) შრიფტის სახე –Sylfaen;

გ) შრიფტის ზომა – 12;

დ) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ - 2 სმ;

16.4. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს შემდეგი სტრუქტურით:

ა) თავფურცელი – წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის სრული დასახელება („საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“). უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 სმ-ით; მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით უნდა მიეთითოს: ფაკულტეტის დასახელება. პროგრამის დასახელება და სტუდენტის სახელი, გვარი; ნაშრომის დასახელება, შემდეგ ხაზზე - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (მაგ. ნაშრომი წარდგენილია ბიოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება ნაშრომის (თემის) ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა და აკადემიური ხარისხი, სახელი და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი;

ბ) სტუდენტის განაცხადი წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. ნაშრომის ავტორის განაცხადი უნდა განთავსდეს ცალკე ფურცელზე (სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება):

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გ) ანოტაცია - წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გ) სარჩევი – უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ცელკეული თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, საწყისი გვერდის ნომრის მითითებით;

დ) შესავალი – უნდა გადმოიცეს საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევის მეთოდები;

ე) ძირითადი ტექსტი – ასახავს ნაშრომის შინაარსს, დალაგებული უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად;

ვ) დასკვნა – მოიცავს კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამებას.

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით, ტექსტში დაცული უნდა იქნეს ციტირების წესი;

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

16.5. სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-11 კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც **ანტიპლაგის** პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება ხორციელდება არაუგვიანეს მე-12 კვირისა.

16.6. სამაგისტრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს

შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი განმეორებით ატვირთოს არა უგვიანეს მე-13 კვირისა, პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი მსგავსების ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება **„არადამაკმაყოფილებელი“ (insufficient)** შეფასებით.

16.7. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად, ამზადებს დასკვნას (მსგავსების ხარისხის მითითებით) არაუგვიანეს მე-14 კვირისა და წარუდგენს დარგობრივ დეპარტამენტს.

16.8. დარგობრივ დეპარტამენტში ნაშრომის წინასწარი დაცვა (აპრობაცია) უნდა გაიმართოს არაუგვიანეს მე-16 კვირისა. დარგობრივი დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით ინიშნება აგრეთვე ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი), სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის დარგში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რეცენზენტი არ შეიძლება იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი.

16.9. რეცენზენტი დასკვნას წარმოადგენს არაუგვიანეს მე-17 კვირისა. მაგისტრანტი ასევე ვალდებულია არაუგვიანეს მე-17 კვირისა წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომს ყდაში აკინძული სახით.

16.10. მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე დაიშვება ფაკულტეტის დეკანის შესაბამისი სამართლებრივი აქტით, სასწავლო კომპონენტის სრულად ათვისებისა და სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის პროცედურის გავლის შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ინიშნება არაუგვიანეს მე-18 კვირისა.

16.11. საჯარო დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე ხუთი პირი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

16.12. საჯარო დაცვის პროცესი და შედეგები აისახება შესაბამის ოქმში, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტი წარმოადგენს ნაშრომს პრეზენტაციის სახით, რომელშიც აქცენტი უნდა გაკეთდეს თემის აქტუალურობაზე, მიზანსა და ამოცანებზე, კვლევის ობიექტსა და მეთოდებზე, შედეგებსა და დასკვნებზე.

16.13. სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვის დასრულებისთანავე ფასდება კომისიის მიერ, დახურულ სხდომაზე, შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების რუბრიკის მიხედვით, საბოლოო შეფასება მიიღება კომისიის წევრთა სამი საუკეთესო შეფასებიდან მინიმალური მაჩვენებელის ასახვით.

16.14. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს კვლევის/პრობლემის აქტუალურობაზე; მიღებული შედეგების მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე; ნაშრომის აკადემიური დონესა და პრეზენტაციის უნარზე. შეფასების რუბრიკა უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების შემდეგ სისტემას:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

16.15. თუ მაგისტრანტმა მიიღო შეფასება - არადამაკმაყოფილებელი (insufficient) ან მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე, მას უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს განმეორებით საჯარო დაცვაზე, დამატებითი საგამოცდო სესიის პერიოდში.

16.16. თუ მაგისტრანტმა დამატებით გამოცდაზე კვლავ მიიღო შეფასება - არადამაკმაყოფილებელი (insufficient), იგი უფლებამოსილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრში, ხოლო შეფასების - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)“ მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

16.17. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კომპონენტის შესრულების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და საჯარო დაცვის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საპატიო მიზეზით (ბსუ-ს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა), ერთ წლამდე ვადით, სტუდენტის მიერ დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

17.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი კომისიური წესით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი.

17.2. საკვალიფიკაციო კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ბსუ-ში გამოცემული აქტების გათვალისწინებით, არკვევს შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის პირად საქმეში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის ოფისი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს მისი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას (თუკი ხარვეზი გამოწვეულია სტუდენტის მხრიდან - მას აძლევს გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს, ხოლო საუნივერსიტეტო საქმისწარმოების ხარვეზის შემთხვევაში - ამზადებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს/ახორციელებს შესაბამის ქმედებებს).

17.3. საკვალიფიკაციო კომისია ამზადებს დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის წარსადგენად. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მი-სანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

17.4. პირი, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული დანართით.

17.5. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუ-დენტის სტატუსი.

17.6. საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ.

17.7. სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია ბათილად ცნოს გადაწყვეტილება სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, რაც თავის მხრივ, მასზე დიპლომის გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის საფუძველია.